



2018.16.04. №20
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე წესი წარმოადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური პერსონალის აფილირების წესს.

2. სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური პერსონალის მიერ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი).

3. აკადემიური თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს:

ა) პრომითი ხელშეკრულებითა და ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პირობები;

ბ) სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოსთან (აკადემიურ საქმიანობასთან) დაკავშირებით სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

დ) განსაზღვრული სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

4. სავალდებულო წლიურ სააუდიტორიო დატვირთვისასთან ერთად შესაძლებელია წინამდებარე წესით გათვალისწინებული საათობრივად ანაზღაურებადი სასწავლო სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 2. აფილირება

1. აკადემიური თანამდებობის პირის სავალდებულო აკადემიური დატვირთვის მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორია სასწავლო უნივერსიტეტთან აფილირება, რომელიც რეგულირდება დასაქმებულსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის ძირითადი სამუშაო ადგილის განსაზღვრის შესახებ წერილობითი შეთანხმებით (

აღნიშნული შეთანხმება აისახება შრომით ხელშეკრულებაში შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისთანავე ან ხელშეკრულების დანართში.

2. წინამდებარე წესით განსაზღვრული მიზნებისათვის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმებით (აფილირების ხელშეკრულება), განისაზღვრება თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირის აფილირება მხოლოდ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

3. აფილირების შესახებ მხარეთა წერილობით შეთანხმებაში ცვლილება აისახება შესაბამის შრომით ხელშეკრულებაში.

4. სასწავლო უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და მისი კვლევის შედეგები ეთვლება სასწავლო უნივერსიტეტს;

გ) აქტიურად არის ჩართული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადწყვეტილების მიღების პროცესებში;

დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების განწესა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

5. სასწავლო უნივერსიტეტთან აფილირებულად მიიჩნევა:

ა) პირი, რომელიც დასაქმებულია აკადემიურ თანამდებობაზე სასწავლო უნივერსიტეტში (მათ შორის პირი, რომელსაც ამავდროულად უჭირავს სასწავლო უნივერსიტეტში ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობა);

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი, რომელთანაც გაფორმებულია აფილირების შეთანხმება და სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისაგან მიიღო თანხმობა სხვა დაწესებულებაში შეთავსებითი სამუშაოს შესრულებისათვის (თუ ამით ხელი არ შეეშლება ამ პირის მიერ სასწავლო უნივერსიტეტში ძირითადი სამუშაოდან გამომდინარე მოვალეობის შესრულებას).

6. აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს, როგორც სააუდიტორიო, ასევე არასააუდიტორიო საქმიანობას და განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის წესით“.

მუხლი 3. ცვლილება დამატებების შეტანა

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესში ცვლილება დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.